

თემის შეფასების სქემა (დავალება 7)

ეროვნული გამოცდები / უცხოური ენები  
მაქსიმალური ქულა 16. ენობრივი სირთულის მოთხოვნის დონე - B1

ქულა	როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას; არის თუ არა აზრი გადმოცემული თანმიმდევრულად. Fluency/Task fulfilment	როგორ არის დაცული გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე. ასევე სიზუსტე მართლწერასა და პუნქტუაციაში. Accuracy	ქულა
8-7	- <u>ნაწერი ძალიან კარგია.</u> იგი სრულყოფილად პასუხობს დავალებას. - აზრი მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. გამყარებულია მაგალითებით და პირადი მოსაზრებებით. - ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია.	- გრამატიკული შეცდომების რაოდენობა 2-ს არ აღემატება. გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები. - ლექსიკა მდიდარია. - მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა.	8-7
6-5	- <u>ნაწერი კარგია,</u> პასუხობს დავალებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ზედმეტი ან, პირიქით, არასაკმარისი ინფორმაცია მოცემული. - აზრი ძირითადად კარგად არის გადმოცემული. ჩანს პირადი მოსაზრება და/ან მოყვანილია მაგალითი. - ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დამახვილება უხდება.	- დაშვებულია 3-6 გრამატიკული შეცდომა, არასწორი სინტაქსური სტრუქტურების ჩათვლით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძირითადი აზრის გაგებას. - ლექსიკა დავალებისა და მოთხოვნის შესატყვისია. - მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	6-5
4-3	- <u>ნაწერი საშუალო დონისაა.</u> აზრი ძირითადად გასაგებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზრის მიყოლა ჭირს. ინფორმაცია ზოგადაა, დებულებები მეორდება. წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად ცუდად უკავშირდება. პირადი მოსაზრება მკაფიოდ არ ჩანს. ან: <u>ნაწერი 61-109 სიტყვაა, ან: ნაწერი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დავალებას.</u>	- დაშვებულია 7-11 გრამატიკული შეცდომა. გამოყენებულია მეტისმეტად მარტივი და/ან არასწორი სინტაქსური სტრუქტურები. - ლექსიკა საკმაოდ მარტივი და შეზღუდულია. - მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც, ზოგ შემთხვევაში, ხელს უშლის აზრის გაგებას.	4-3
2-1	- <u>ნაწერი (ძალიან) სუსტია.</u> ინფორმაცია ზოგადი და მწირია. აზრის გაგება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია. ან: <u>ნაწერი 60 სიტყვა ან ნაკლებია /დაწერილია რამდენიმე წინადადება.</u> ან: <u>ზოგადი სახის დებულებები, რომლებიც კონკრეტულ თემას არ უკავშირდება, ხშირად მეორდება.</u>	- დაშვებულია 11-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია. - ლექსიკა ძალზე მარტივი და შეუსაბამოა. - მჟღავნდება მართლწერისა და პუნქტუაციის წესების სუსტი ცოდნა.	2-1
0	ფურცელი ცარიელია ან დაწერილია მხოლოდ ერთი წინადადება ან გადმოწერილია დავალების ინსტრუქცია. ან: <u>ნაწერი არ პასუხობს დავალებას.</u>	დაწერილია რამდენიმე წინადადება, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებელია. შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში.	0